უნივერსიტეტის ავტონომია

წელიწადი შესრულდა უკვე, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წმიდა კეთილმსახურის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალს (26 იანვარს ძველი სტილით), სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მიიღო თავისი ავტონომიის "დეკლარაცია". ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე საჯაროდ გამოცხადდა, რომ თბილისის უნივერსიტეტი ერთხელ და სამუდამოდ იბრუნებს შვიდი ათეული წლის წინათ წართმეულ თავის უფლებებს - თავისუფლებას. გასული წლების ჭექა-ქუხილში, რაც მხოლოდ მოახლოებული გაზაფხულის ნიშანი იყო, აღორძინდა და ხორცი შეისხა უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის იდეამ, რომელიც ვერ გადაფარეს უფრო სასიცოცხლო განსაცდელებმა, რადგან თავად ეს იდეა, როგორც ჩანს, თავისი აშკარა სიმბოლურობის გამო, ვერ ეტევა ვიწრო საუწყებო საზღვრებში. ყველა გრძნობდა, უნივერსიტეტის თავისუფლების მოთხოვნა არ შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის საქმე, მხოლოდ მისი შინაური პრობლემა ყოფილიყო. იგი დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყნის შენების საქმეა. ავტონომიის იდეის აღორძინების მესვეურთ ესახებოდათ იგი, როგორც სასინჯი ქვა, რომლითაც უნდა შემოწმებულიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. უნივერსიტეტის უფლებათა აღდგენაში უნდა ვჭვრეტდეთ ქვეყნის აღდგენილი დამოუკიდებლობის ხატს, რადგან მის ბედში იმთავითვე, მისი დაარსების დღიდანვე, აირეკლა ქვეყნის ბედი - ბედი სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოსი. უნივერსიტეტის ხანმოკლე, მაგრამ მრავალტანჯული ცხოვრება მცირე ხატში იმეორებს საქართველოს უკანასკნელი ხანის ისტორიას. თუმცა „დეკლარაციაში" ჩაიწერა, რომ თბილისის უნივერსიტეტი დამოუკიდებელი საქართველოს პირმშოა, მაგრამ ეს არ არის მთლად ზუსტი, ეს არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. დღეს ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ერის კულტურული

და სულიერი აღორძინება მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებშია შესაძლებელი. მაგრამ ხომ ურყევი ფაქტია, რომ „ქართული უნივერსიტეტი" (ამ სახელწოდებას ატარებდა იგი თავის დასაბამში) იშვა უწინარეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, როგორც ქართული საზოგადოების ინტელექტუალური ძალისხმევის ნაყოფი. ის იშვა თავისუფალ საზოგადოებაში, სულიერი თავისუფლების პირობებში; ის თავისუფალია თავისი წარმოშობით, როგორც უფლისწული - მემკვიდრეც და წინამორბედიც თავისუფალი ქვეყნისა. ამიტომაც მისთვის არ უნდა არსებობდეს სხვა ავტორიტეტი, ჭეშმარიტებისა და ზნეობრივი იმპერატივის გარდა. მაგრამ რა დაემართა მას? ის, ვინც ჭეშმარიტების მსახურად იყო შობილი, ხელისუფლების (თუნდაც არ ყოფილიყო იგი ბოლშევიკური) წარმავალი ინტერესების მონა-მორჩილი შეიქნა.

უნივერსიტეტი წაილეკა (პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პერმანენტული რეპრესიები რომც არ ვახსენოთ) ზემდგომი ინსტანციების კაბინეტებში დამზადებული დადგენილებებით, სწავლა-აღზრდაზე და მეცნიერებაზე „ზრუნვის" გამომხატველი ინსტრუქციებით, ჭკუისსასწავლებელი ბრძანებულებებით, გონებასუსტთათვის სხვა და სხვა შეღავათებითა და ლიმიტებით, მოსამზადებელი კურსებით და სხვა გარედან „შემოგდებული" ღონისძიებებით, რამაც, საბოლოოდ, გაუგონარ დონემდე დასცა სწავლება და პედაგოგიური პროფესიონალიზმი, დაამახინჯა ურთიერთობა მოძღვართა და დასამოძღვრთა შორის, და ეს *ალმამატერი* ყოველწლიურად დაგეგმილი წუნის გამომშვებ ქარხანად აქცია. ასეთი ზრუნვა არ სჭირდებოდა არც უნივერსიტეტს, არც საზოგადოებას, არამედ მხოლოდ პლუტოკრატიას, ვიღაც-ვიღაცეებს *იქ*, ვისთვისაც სწავლა-განათლების კერა მხოლოდ საკუთარი ძლევამოსილების ერთ-ერთი ასპარეზი იყო. უნივერსიტეტს მართავდა არა მისი კანონი, რომელიც არავინ იცოდა, არამედ სატელეფონო ზარები, გამოძახებები *იქიდან, ზემოდან* ან, უკეთეს შემთხვევაში, ბეჭდიანი ქაღალდები. უნივერსიტეტი - თავისთავადი, აზნაური, გადაიქცა უაზნო ვინმედ, რომელსაც ჯერ თავად ესაჭიროება განსწავლა და დამოძღვრა, სანამ ვისმე რამეს შეასწავლიდა. ასეთი ვითარება აღარავის უკვირდა, ის ბუნებრივი და კანონზომიერი შეიქნა (აი, სავალალო

შედეგი ეშმაკის მოქმედებისა, როცა დავიწყებულია საკუთარი ვინაობა!). ასეთი მონამორჩილური დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებაზე თავისთავად ცხად, დასაბამიერ რეალობადაც კი იქნა მიჩნეული. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად გავიგონებდით (იქნებ ამჟამადაც!) ავტონომიის მიზანშეწონილობის მეჭველთაგან: თუ სახელმწიფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი გავხდით, ვინღა გვარჩენს, ვინ მოგვხედავს (მსგავსადვე ფიქრობდნენ, თუ კიდევ არიან სადმე, ქვეყნის დამოუკიდებლობის მეჭველნიც), თითქოს უნივერსიტეტი ის ყმა იყოს, რომელიც ბედის ანაბარა მიაგდო ბატონმა და არავითარი ვალდებულება არ აკავშირებს მასთან. არამც და არამც უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, მოთხოვნა მის შინაურ საქმეებში, მის სტრუქტურაში, კანონში ჩაურევლობისა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უნდა გათავისუფლდეს უნივერსიტეტის მიმართ ვალდებულებისგან. უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლებისგან ანუ ავტონომიურობა არ აუქმებს მის სახელმწიფო სტატუსს - უნივერსიტეტი, როგორც იყო, ისევე რჩება სახელმწიფო უნივერსიტეტად. სახელმწიფოს, როგორც ჰქონდა, ისევე ექნება ვალდებულება მის მიმართ. უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო კერის, შენახვა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ორგანოები ჩაერიოს მის მართვა-გამგეობაში. რაკი უნივერსიტეტი არის ერთადერთი ხელისუფალი სწავლა-დამოძღვრის საქმეში, ის კვლავ ინარჩუნებს (პირუკუ შემთხვევაში ის გააუქმებდა თავს) უფლებას მართოს საკუთარი თავი, განაგოს სწავლების სისტემა და წარმართოს სწავლების პროცესი. რაკი უნივერსიტეტი არის *Aalma mater* - „მკვებავი დედა" კვალიფიციური კადრებისა, სახელმწიფო ხელისუფლების მცდელობას რაიმე ცვლილებანი შეიტანოს მის საქმიანობაში, იგი მიიჩნევს თავისადმი უნდობლობის გამოხატულებად და თავისი პროფესიული ღირსების შელახვად. სხვა ძალა უნივერსიტეტის მართვისა არ არსებობს, გარდა მისივე, იმანენტური ძალისა, როგორც არ არსებობს სხვა უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც შეეძლება აღუზარდოს საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს უნივერსალურად განათლებული, ჭეშმარიტების მსახური პიროვნებები. ეს არის მისი წმიდათა წმიდა ვალი (წმიდა იმას ნიშნავს,

რომ იგი ტრანსცენდენტურია ყოვლისგან და მას ვერავინ შელახავს). ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო ერთი-ასად და ათასად იბრუნებს სიბრძნედ იმას, რაც მას უნივერსიტეტისთვის აქვს გაღებული.

უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის მესვეურთა ფიქრით, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთვალდებულებათა არცთუ რთული სქემა ასეთია: უნივერსიტეტი ვალდებულია აღუზარდოს ქვეყანას უნივერსალურად განათლებული, პროფესიულად ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი თაობა. მის კედლებს შორის განისწავლებიან და იმოძღვრებიან მომავალი მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, იურისტები, პედაგოგები...

უნივერსიტეტი ვალდებულია ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას, როგორც უმაღლეს კატეგორიას ამ წუთისოფელში, დაამოწმოს ჭეშმარიტება ნებისმიერი ამქვეყნიური მსხვერპლის ფასად ქვეყნად სიმართლისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

სანაცვლოდ სახელმწიფო ვალდებულია შეინახოს უნივერსიტეტი ნივთიერად, მის უფლებებში ჩარევის გარეშე.

უნივერსიტეტმა უკან უნდა მოიტოვოს ერთხელ და სამუდამოდ მის ხელმძღვანელთა გარედან, "უზენაესი" ინსტანციების მიერ მოხსნა-დანიშვნის პრაქტიკა, რომელსაც დასაბამი დაედო 1923 წლის 23 ივნისს, როცა ივანე ჯავახიშვილმა იძულებით დასტოვა მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის რექტორობა. ეს არის უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმების ფაქტიური თარიღი. ავტონომიის პრინციპი გამოცხადდა „რეაქციულ და ანტისაბჭოთა ელემენტების... ბურჟუაზიული პროფესურისა და მის მომსახურე ბურჟუაზიულ სტუდენტთა" თავშესაფრად.

ამ ეპოქაში იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტზე „ზრუნვა" სახელმწიფო საქმედ აქცია. ამ დროისათვის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, რა სტატუსიც მას ჯერ კიდევ ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში მიენიჭა, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას არც უცდია ამ მიზეზით მის მართვა-გამგეობაში ჩარევა. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი წესდების პირველ მუხლში ეწერა: „ქართული უნივერსიტეტი თბილისში უმაღლესი სამეცნიერო-სასწავლო ავტონომიური დაწესებულებაა:

სამეცნიერო-სასწავლო სფეროშიაც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე განაგებს". ეს მუხლი იმდროინდელია, როცა მას, კერძო უნივერსიტეტის სტატუსში მყოფს, მზრუნველობდა „საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოება". არც ამ საზოგადოებას ჰქონდა ნება მის უფლებებში შეჭრისა.

უნივერსიტეტის თავისუფლებისა და სახელმწიფოსგან მისი დამოუკიდებლობის დამადასტურებლად უნდა გავიხსენოთ ჩვენს დროში წარმოუდგენელი, ლეგენდარული ფაქტი, რომლის მომსწრეთაგან დღეს აღარავინ ჩანს: უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებოდა შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს. მილიციელს, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველსაც კი, უფლება არ ჰქონდა გადაელახა უნივერსიტეტის საზღვარი (ვინმემ თუ იცის დღეს, სად გადის იგი?), დაელახა მისი ეზო-კარი. ვის შეუძლია დღეს წარმოიდგინოს ამ ზღვარამდე მისული თავისუფლება? ეს აკრძალვა, როგორც უნივერსიტეტის თავისთავადობის გამომხატველი, უნდა აღდგეს დემოკრატიულ საქართველოში უნივერსიტეტის სხვა თანდაყოლილ უფლებებთან ერთად.

თუ ოცნებაა, კიდევ რაზე შეიძლება იოცნებოს უნივერსიტეტის ბედის გულშემატკივარმა?

იმაზე, რომ უნივერსიტეტში აღდგეს და დამკვიდრდეს არჩევითობა, რომ თავად უნივერსიტეტის ფართო წარმომადგენლობამ „აუვსოს ხელი" (ბიბლიური გამოთქმა) თავის ხელისუფალს - რექტორს, „პირველს თანაბართა შორის" (primus inter pares); ყურს აღარ ესმოდეს კარგად ნაცნობი „მოხსნეს", „გაათავისუფლეს", „დანიშნეს", „დაიბარეს", „გამოიძახეს", მათგან გამომდინარე შედეგებითურთ. ვისაც *ზევიდან* ნიშნავენ, მას *ზევიდანვე* ხსნიან; ხოლო ვისაც უნივერსიტეტის წრეში „აუვსებენ ხელს", მისი მოხსნა არა ძალას არ ხელეწიფება. არჩეულის მოსახსნელად სხვა წესი არსებობს: უნდობლობის გამოცხადება მათგან, ვინც ის თავისი წრიდან აირჩია. ვისაც უნივერსიტეტის წრე ირჩევს, როგორც „თანაბარს თანაბართა შორის", ის უნივერსიტეტის მსახურია; ხოლო ვისაც ზემოდან ნიშნავენ, ის ზემდგომთა მსახურია. მაგრამ ეს *ზემოთ* ყოველთვის არ არის სიბრძნისა და ჭეშმარიტების სამყოფელი.

საამისო გამოცდილება ჰქონდა ჯერ პლატონს, ჭეშმარიტების მეგობარს, და საკმარისი აქვს უნივერსიტეტსაც და მთელ ქვეყანას, რომ კვლავ ახალი ილუზიების ტყვეობაში არ მოვექცეთ.

უნივერსიტეტის რექტორი გამოხატავს უნივერსიტეტის სინდისს, მისი თავისთავადობის პრინციპს, სულს მისი თავისუფლებისა. მაგრამ როგორია რექტორის სტატუსი ხელისუფლების დიქტატს დამორჩილებულ უნივერსიტეტში? ასეთ უნივერსიტეტში რექტორი, აღჭურვილი ხელისუფლის ან ხელისუფლების ნებით, თავზე ახვევს ამ ნებას მთელს უნივერსიტეტს. თითქოს მისი ძალაუფლება განუსაზღვრელია, მაგრამ, სინამდვილეში, ის ეფემერულია; მისი სიმტკიცე თავად მასში არ არის, ის უძლურია იმ გარეშე ზემდგომი ძალის წინაშე, რამაც ის ადგილზე დააყენა. ხომ ცნობილია ყველასთვის ამ ძალის წყარო? ვინ წასულა ამ ძალის წინააღმდეგ? გასაბჭოებულ უნივერსიტეტს ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, როცა მისმა რექტორმა გამოიჩინა ნების სიმტკიცე და აზნაურობა და საკუთარი ხელით დასმული ბეჭდის წაშლას, რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდნენ ზევიდან, გადადგომა არჩია. იმ დროისათვის ამ უნიკალური აქტის ჩამდენმა პროფესორმა ალექსანდრე ჯანელიძემ დაადასტურა, რომ იგი იყო უღალატო რაინდი იმ კორპორაციისა, რომელიც ჭეშმარიტების სამსახურად არის მოწოდებული. ასეთი არჩევანისთვის გამოჩენილი გეოლოგი მზად იყო თავისი წარმოშობით, აღზრდა-განათლებით, მთელი თავისი ცხოვრებით (იხ. მისი „მოგონებები”). ტრადიციულ შესავალ სიტყვაში, რომლითაც წარუდგა ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტობას, ის ამბობდა: „როდესაც მე შესავალი სიტყვისთვის თემას ვეძებდი, თვალწინ წარმომიდგა პარიზის ლათინური უბნის ერთი ვიწრო ქუჩა, იქ ძველი გოთიკური ტაძარი, და მის ფრონტონზე ნაცნობი სიტყვები: cognoscite veritatem et veritas liberavit vos! (სცანოთ ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაცხოვნებსთ თქვენ). ვიფიქრე, აი სიტყვები, რომელნიც ამოჭრილი უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტის ფრონტონზედაც. აი სიტყვები, რომელნიც მთელ ერს უნდა უნათებდეს გზას უიმედობისა თუ ეჭვის დროს. და განა შეიძლება კიდევ დასაყრდნობი უფრო საიმედო, ვიდრე ჭეშმარიტება?” (ჟურნ. „კავკასიონი”, 3-4, 1924). ამავე სიტყვის დასასრულს ის მიმართავდა მსმენელთ: „მეცნიერება გადაცემით არ

ისწავლება, მეცნიერების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება". მეცნიერების ცნებაში სწავლული მის უმაღლეს, არატრივიალურ აზრს დებდა. ჩვენ დავძენთ: მით უფრო ზნეობრივი აქტები არ ისწავლება გადაცემით. ზნეობრივი აქტების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება. ალექსანდრე ჯანელიძის უმაგალითო საქციელი ზნეობის მაგალითი იყო იმხანად, მას უთუოდ ჰქონდა გამოძახილი თუნდაც მცირედზე უმცირესთა გულებში მაშინდელი პირქუში ცის ქვეშ.

ჭეშმარიტად, იმ ერთ აქტში წამიერად გაცოცხლდა მაშინ უნივერსიტეტის თავისუფლების სული.

დღეს უნივერსიტეტი თავისი ისტორიის ახალ ზღურბლზე დგას. ის დგამს ნაბიჯს ამ ზღურბლს იქით, ის უბრუნდება საკუთარ თავს, მას სურს იყოს თავისუფლების ხატი, და, როგორც მაშინ, მისი დაარსების ჟამს იყო, წინამორბედი ქვეყნის თავისუფლებისა.

(„თბილისი", 8.II.1991)